განმარტებითი ბარათი

ტექნოლოგიური ნაწილი

წარმოდგენილი ავტოგასამართი კომპლექსის მშენებლობის ტექნოლოგიური პროექტი დამუშავებულია, ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16) ს/კ (01.11.19.001.026)მდებარე არსებული გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციისათვის.

საკადასტრო ზღვრებში განთავსებული არსებული ყველა შენობა რჩება უცვლელი. ხდება მომსახურე პერსონალის ოთახის რეკონსტრუქცია,კერძოდ,არსებული ღიობი გაუქმდება და ამოშენდება რკინაბეტონის კონსტრუქციით.(იხილეთ გენგეგმა).

ავტოგასამართი კომპლექსის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია СП 156.13130.2014; „Свод правил станции автомобильные заправочные Требования пожарной безопасности“ ნორმების მიხედვით. აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტი აღიარებულია და სამოქმედოდ დაშვებულია საქართველოს მთავრობის 2014-წლის 14 იანვრის #52-დადგენილებით.

სარეკონსტრუქციო გაზგასამართ სადგურზე ავტომობილების შესვლა-გამოსვლა არ იცვლება და განხორციელდება შეშელიძის ქუჩიდან. ავტოგასამართი სადგურის ლითონის კონსტრუქციის ფარდული რჩება უცვლელი.მის ქვეშ მოწყობილი იქნება 2 ცალი საწყვავ-სარიგებელი სვეტი (დისპენსერი), რომელიც განთავსდება 15სმ-ის სიმაღლის ბეტონის კუნძულზე, (ТРК„ПК-электроникс”).

ავტოგასამართ კომპლექსში უნდა მოწყოს რკინაბეტონის მიწისქვეშა სარკოფაგი სარეზერვუარო პარკისათვის, რომელშიც განთავსდება , 4 ცალი V=14.71 კუბ.მ. (საერთო მოცულობით 58,8 კუბ.მ) რეზერვუარი. საწვავის ავზები არის ქარხნული წარმოების და გამოიყენება სპეციალური საწვავის შესანახად.რეზერვუარები დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით. ავზებს შორის სიცარიელები შევსებული იქნება ქვიშა-ღორღის წვრილი ფრაქციით. რეზერვუარის სასუნთქი მილების სიმაღლე H= 5.00,მ, დიამეტრით D=0,05მ. ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის ოპერაციებისათვის გამოყენებული იქნება ელექტროგამტარი ფენით დაფარული ორკედლიანი კოაქსიალური მილები, მიწისქვეშა განთავსებით(არხის გამოყენების გარეშე). მექანიკური დაზიანებისაგან დაცვის გათვალისწინებით.მათი განთავსება წარმოდგენილია ტექნოლოგიურ სქემაზე.(იხილეთ გენგეგმა).

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ნავთობპროდუქტების სარეზერვუარო პარკის მიმდებარედ მოეწყობა, ნავთოპროდუქტების ჰერმეტულად მიმღები კვანძი.ნავთობპროდუქტების რეზერვუარის მილყელის სახურავზე მოეწყობა ნავთოპროდუქტების დონის საზომი, სარიგებელ სვეტზე ნავთოპროდუქტების მიმწოდებელი აფეთქებადდაცული ქარხნული წარმოების ტუმპო, red-jacket - FE-PETRO; 2HPSTPMVS2-VL1). ყველა მილსადენი აღჭურვილია ტიპიური სქემის შესაბამისი მოწყობილობებით

(ნაპერწყალჩამხშობები, სასუნთქი სარქველი, უკუსარქველი, რეზერვუარის გადავსებისაგან დაცვის მოწყობილობა, ფილტრები.)

საპროექტო ტერიტორიაზე არსებობს 2 ცალი სახანძრო ჰიდრანტი და ნორმით გათვალისწინებული სახანძრო ინვენტარის კუთხე. (ჰიდრანტები იხილეთ პროექტში.)

დამიწების, მეხის და სტატიკური ელექტროობისაგან დამიწების სისტემები მოიცავს ყველა ტექნოლოგიურ მოწყობილობას მათ შორის რეზერვუარებსაც.ავტოცისტერნიდან ნავთოპროდუქტების გაცემის დროს კონტროლის მიზნით, გამოყენებული იქნება დამიწების სპეციალიზებული მოწყობილობა.(მაგ: УЗА-4А ან УЗА-4К) ტიპის, რომელიც ავტომატურად შეწყვეტს რეზერვუარის შევსებას ან ჩართავს ხმოვან სიგნას ავტოცისტერნიის დამიწების მოწყობის გაუმართაობის შემთხვევაში.

ავტოგასამართი კომპლექსის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სავარაუდოდ დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემკრები და გამწმენდი მოწობილობა,სანიაღვრე არხებით,(იხილეთ გენგეგმაზე).

ავტოგასამართი კომპლექსს ელექტროენერგია მიეწოდება ქალაქის ქსელიდან შიდა გამოყენების ტრანსფორმატორის მეშვეობით.

ძალოვანი ქსელისათვბის ელექტრო ფარზე დაყენებული უნდა იქნეს შემდგი დაცვის ავტომატები:

— შემომავალი კაბელებისათვის- 3 ფაზა 40 А -2 ცალი:

— გადამრთველი - 3 ფაზა А -1 ცალი:

— საწვავსარიგებელი სვეტების კვებისათვის - 1 ფაზა 10 А -2 ცალი;

— ტერიტორიის განათება - 1 ფაზა 10 А -1 ცალი.

— ჩაძირული ტუმბოების ელ. კვება. 3 ფაზა 10 А -3 ცალი.

საწვავსარიგებელი სვეტების და ჩაძირული ტუმბოების ელ. კვების ელ.სქემა მოცემულია ტექნოლოგიურ სქემაზე.(იხილეთ პროექტი)

ელექტრო კაბელების გაყვანა ავტოგასამართი სადგურის შენობიდან კუნძულებზე განთავსებულ ელექტრომიმღებებამდე ხორციელდება მიწისქვეშ 0,7 მ სიღრმეზე. აზბესტ-ცემენტის მილებში გატარებით. ელექტრო კაბელების გაყვანა ავტოგასამართი სადგურის შენობიდან კუნძულებამდე უნდა განხორციელდეს დაგეგმარების ნიშნულიდან კუნძულისკენ 0,003 ქანობით. შენობაში შემავალი მილები შიგნიდან უნდა შემჭიდროვდეს ცეცხლგამძლე თიხით, ხოლო გარედან - პლასტიზირებული ცემენტით .

ყველა სავსები სვეტიდან ძალოვანი კაბელები შედის ელ. ფარში და უნდა ჰქონდეთ სიგრძის საკმაო მარაგი გაყვანილობის მიერთებისთვის. ასევე 2 მეტრიანი მარაგი მეორე მხრიდან, სსს-თან მისაერთებლად.

საინფორმაციო და ავტომატიზაციის კაბელები,ყველა სავსები სვეტიდან და რეზერვუარებიდან უნდა განთავსდეს იგივე აზბესტ-ცემენტის მილებში. მათი პარამეტრები შერჩეული უნდა იქნას სსს-სა და საწვავის რეზერვუარის ტუმბოების ქარხანა დამამზატებლის ტექნიკური პირობების შესაბამისად. ისინი უნდა მთავრდებოდეს აგს-ის შენობაში უშუალოდ ოპერატორის სამუშაო ადგილთან და უნდა ჰქონდეს 2 მეტრიანი მარაგი. იგივე მარაგი უნდა ჰქონდეს ამვსები სვეტის მხარეს. ელექტრო მოწყობილობებისათვის შენობის ფასადზე განთავსდება ცენტრალიზებული გათიშვის სისტემა, СП. 156 13130, п. 7.36 მოთხოვნის შესაბამისად.

გარე განათების სანათები დამონტაჟდება კრონშტეინებით, ფარდულის ლითონის კონსტრუქციაზე და საოფისე შენობის ლავგარდანზე. განათება უნდა აკმაყოფილებდეს СНиП II-4-79 პ.4-21 - განათებულობა მინიმუმ 10 ლუქსი.

ჯგუფური გადამრთველები განლაგებულია სადგურის შენობის განათების ელექტროკარადაში. გარე ელექტრო განათების ქსელი ხორციელდება АВВГ კაბელით, ლაგდება ტრანშეაში სიღრმით 0.7 მ, ხოლო გზებთან გადაკვეთის მონაკვეთებში იგი დაცულია აზბესტ-ცემენტის მილებით. ლავგარდანზე კაბელი გატარებული იქნება ლითონის გარსაცმში.

ავტოგასამართი კომპლექსის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შენობა, რომელშიც მოწყობილია ოთახები მომსახურე პერსონალისათვის, მგზავრებისა და მძღოლების სერვისული მომსახურებისათვის.მათი ერთ შენობაში განთავსება დასაშვებია გამოყენებული ნორმის შესაბამისად.

ავტოგასამართ კომპლექსის ტექნოლოგიური მოწყობილობებსა და შენობა-ნაგებობებს შორის მანძილები (შიდა და გარე უსაფრთხოების გათვალისწინებით) წარმოდგენილია გენგეგმაზე შესაბამისი აღნიშვნებით.

პირველი და მეორე გაზგასამართი სვეტი(დისპენსერი) რჩება უცვლელ მდგომარეობაში, მესამე და მეოთხე სვეტის მოწყობის პრინციპი და ძალოვანი ელექტრო სქემის მოწყობის პრინციპი მოცემულია დამატებით გენგეგმაზე. ძალოვანი ქსელისა და დისპენსერის მკვებავი მაღალი წნევის გაზსადენი მილების კვეთის ადგილებში დაშორება 0,7 მ-ია. (იხილეთ გენგეგმა).

დასკვნა

პროექტის ტექნოლოგიური მოწყობილობები და მათი განთავსება აკმაყოფილებს ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნებს. СП 156.13130.2014; „Свод правил станции автомобильные заправочные Требования пожарной безопасности“. და საქართველოში სამოქმედოდ დაშვებულ ნორმატივების მოთხოვნებს.

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16)
ს/კ (01.11.19.001.026)

გენგეგმა,ტექნოლოგიური ნაწილი,
რეზერვუარების განთავსება,მილგაყვანილობა


ჰიდრანტი
დამცავი რკინაბეტონის კედელი H=2.50 მ
შემკრები ბა
18.00 მანძილი მზის ნათურამდე
15.70 მანძილი მზის ნათურამდე
შემკრები არხი
2,449
17.42
401
700
350
16.20
33.00
მოშენებამდე შენობამდე მანძილი 338
საჰიროქტო ბენზინისა და დიზელის მაჩიბებელი სვეტები
1,100
285
20
286
ბუზბახამაჩი
260
800
470
912
14
15
209
30
15.00
მოშენებამდე ავტოგასამართის შენობამდე მანძილი 158
509
590
15.78
მიწის ქვეშა რეზერვუარები
მარი ოზებუარის მოცულობა V=14.71 m³
საანძილე საანძილები H=7.68
რეზერვუარების შენჰასება მიწლით 80-მდე მოთავსებულია სანაცარი
კედლის ადგილებში დაშორება 0.7მ
საჰიროქტო მიწისქვეშა ჩეზჩიქები
დამცავი რკინაბეტონის კედელი H=3.10 მ
ავტოგასამართის ჩამოსხმა არხები
350
18.86
კედელი H=2.50 მ
ავტოგასამართის ელექტრონული გამანაწილებელი მოწყობილობა
ავტოგასამართის გამთიშველი კონტაქტი
ავტოგასამართის საწყობი
სპეციალური ავტომანქანების სადგომი
საწყობი
სველი წერტილი
ავტოგასამართის ჩამოსხმა არხები
ავტოგასამართის ელექტრონული გამანაწილებელი მოწყობილობა
ავტოგასამართის გამთიშველი კონტაქტი
ავტოგასამართის

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16)
ს/კ (01.11.19.001.026)

ტექნოლოგიური დანადგარის აღჭურვილობის მონტაჟის სქემა ავტოგასამართ სადგურზე



1. საწვავის ამკვები სვეტი (ТРК „ПК- электроникс");
2. მილტუჩი;
3. საწვავის მიმწოდებელი მილსადენი; UPP- 01-50-LS
4. ნავთობპროდუქტების შრდული (30к470бр);
5. ნავთობპროდუქტების გამცემი ტუმბო (FE-PETRO 2HPSTPMVS2-VL1)
6. მიმღები სარქველი (КП-40);
7. გამზომი მილსადენი;
8. გამზომი ხახა (ЛЗ-150);
9. სასუნთქი სარქველი (смдк-50);
10. დონისმზომი გადამწოდით (სენსორით);
11. ჩასასხმელი მილსადენი;
12. ცეცხლდამშერი (ОП-100);
13. ელექტრომაბნიტური სარქველი სასხლეტი (крт);
14. უხეში წმენდის ფილტრი (фс-80);
15. ჩამომსხმელი ქურო (მუშტა мсм);
16. ჩამომსხმელი ჭა;
17. ტექნოლოგიუი შახტა;
18. საინტილაციო ცხაური;
19. რკინაბეტონის ჭა;
20. გაშრნილი სითხის დასაგროვებელი;
21. გაშრნვის განმსაზღვრელი ზონდი;
22. მიწისქვეშა ვერტიკალური რეზერვუარი
23. აცარიელი სარქველი
24. რეზერვუარის ჩამაბრება წუნდამენტში

	შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ" **L.T.D. "AR consulting"** (404580388)	
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ.	

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16)
ს/კ (01.11.19.001.026)

სეპარატორი







შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ" L.T.D. "AR consulting" (404580388)		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ.	

ბეტონის სანიაღვრე არხი SUPER ЛВ DN 100 თუჯის ცხაურებით КЛ. E 600





კლასი №	დასახელება	პიდრავლიკური კვეთი მმ	სიგრძე	სიგანე	სიმაღლე	წონა	გამსვლელი კვეთი სმ²	გამტარუნარიანობა ლ/წმ დახრა 0.5%
04104E	წყალამრინებელი ბეტონის არხის კომპლექტი SUPER ЛВ-10.16.10 თუჯის ცხაურით.	DN 100	1000	163	100	30.6	40	0.8

№	პირ. ად-ბი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	კლასი	რაოდენობა
2		კუთხის სამზერი ჭა		
1		წყალამრინებელი ბეტონის არხის კომპლექტი SUPER ЛВ-10.16.10 თუჯის ცხაურით.	04104E	
ს პ ე ც ი ფ ი კ ა ც ი ა				

შ.პ.ს. "ეარ ქონსალტინგ"
L.T.D. "AR consulting"
(404580388)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ.	

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16)
ს/კ (01.11.19.001.026)

გენგეგმა,
ელექტრო-ტექნიკური ნაწილი



ექსპლიკაცია

1.დირექტორი
2.ბუღალტერი
3.სამეძანიკოსო
4.საოპერატორო
5.მომსახურე პერსონალის ოთახი
6.დამხმარე სათავსოები
7.დამხმარე სათავსო
8.კორიდორი
9.სან.კვანძი
10.საკომპრესოროს ნაწილების სათადარიგო სათავსო
11.ბუფეტი
12.საკომპრესორო
13.ელ.შარები
14.ფილტრები
15.სან.კვანძი
16.ტრანსფორმატორის დასადგმელი მოედანი
17.ტრანსფორმატორი
18.მოსაცდელი მოედანი

შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ" L.T.D. "AR consulting" (404580388)		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შესრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ	

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16)
ს/კ (01.11.19.001.026)

გამჭრევი მილი





შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ" L.T.D. "AR consulting" (404580388)		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ.	

შენობის ელ.მომარაგების ნაწილის სპეციფიკაცია

№	დასახელება	განზ. ერთ.	რ-ბა
1	შემყვან გამანაწილებელი მოწყობილობა/ მთ.ფარი/. ავტომატური გამომრთველით 100 ამპერზე. ჯგუფებში. ავტომატური გამომრთველით 63 ამპერზე--2ც. 32ა-ზე--2ც.: 25ა-1ც, 100ა-1ც. ა.ვ.რ.-ით,	კომპ.	1
2	მრიცხველი	ცალი	1
3	ლედ განათების სანათი სიმძლავრით 60 ვტ. (ელ.უსაფრთხო შესრულების)	ცალი	2
4	ერთპოლუსიანი გამომრთველი. "ერთკლავიშიანი" (ელ.უსაფრთხო შესრულების)	ცალი	13
5	ლუმინისცენტური ნათურა სიმძლავრით 36 ვტ. (ელ.უსაფრთხო შესრულების)	ცალი	16
6	საშტეფსელო როზეტი ერთპოლუსიანი, მესამე დამამიწებელი კონტაქტით.	ცალი	15
7	ერთპოლუსიანი გამომრთველი. "ორკლავიშიანი "	ცალი	3
8	საილენძის ორმაგიზოლაციანი კაბელი კვეთით: 3X2,5 კვ.მმ.	მეტრი	300
9	სპილენძის ორმაგიზოლაციანი კაბელი კვეთით: 3X4 კვ.მმ.	მეტრი	40

№	დასახელება	განზ. ერთ.	რ-ბა
23	მრგვალი ფოლადი 8	მეტრი	68,4
24	ელექტროდი 50X50X5 მმ.	მეტრი	27,5
25	ზოლოვანი ფოლადი -40X4 მმ	მეტრი	30

შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ"
L.T.D. "AR consulting"
(404580388)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ.	

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16)
ს/კ (01.11.19.001.026)

მუშა ნახაზების შიფრი

№	დასახელება	შიფრი
1	საერთო მონაცემები	ე-1
2	ელ. განათება. სართულის გეგმა	ე-2
3	სახურავის გეგმა - მეხდაცვა	ე-3

პირობითი აღნიშვნები

- მთ. შარი
- წერტილოვანი განათება
- როზეტი
- ერთკლავიშიანი ჩამრთველი
- ორკლავიშიანი ჩამრთველი
- ვინტილაცია

საერთო მითითებები

შენობის ელ. ტექნიკური პროექტი დამუშავებულია არქიტექტურული ნაწილის და დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე.

ელ. ენერგიის მიღებისა და განაწილებისათვის შენობის შესასვლელში გათვალისწინებულია შემყვან-გამანაწილებელი კარადა საიდანაც ხდება ელ.ენერგიის განაწილება სართულზე შენობაში სანათებად მიღებულია ლედ განათების ტიპის ნათურები ნაწილობრივ ლუმინესცენტური სანათები. ელ. ქსელი სრულდება სპილენძის ორმაგიზოლაციანი კაბელებით ფარულად. ხოლო კაბელი სან-კვანძში ვინიპლასტის მილებში ფარულად.

პროექტით გათვალისწინებულია მთავარი ფარის მეორადი დამიწება შენობის გარეთ ბრუნტში ელექტროდების ჩარტყმით და მათი შეერთება ზოლოვანი ფოლადით. დამიწდეს ყველა ის დენგაუმტარი კორპუსები, რომლებიც დენის გაუმართაობის შემთხვევაში შეიძლება მოხვდნენ ძაბვის ქვეშ.

პროექტით გათვალისწინებულია შენობის დაცვა მეხის პირდაპირი დარტყმისაგან.

პროექტი დამუშავებულია მომქმედი ნორმებისა და წესების მოთხოვნის თანახმად და ითვალისწინებს ქველა ფეთქებად, ხანძარფეთქებად და სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებებს შენობის ექსპლოატაციის დროს.

	შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ" L.T.D. "AR consulting" (404580388)	
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ.	

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16) ს/კ (01.11.19.001.026)

გენგეგმა,
მეხდაცვა-დამიწება



ექსპლიკაცია

1.დირექტორი
2.ბუღალტერი
3.სამეძანიკოსო
4.საოპერატორო
5.მომსახურე პერსონალის ოთახი
6.დამხმარე სათავსოები
7.დამხმარე სათავსო
8.კორიდორი
9.სან.კვანძი
10.საკომპრესოროს ნაწილების სათადარიგო სათავსო
11.ბუფეტი
12.საკომპრესორო
13.ელ.ფარები
14.ფილტრები
15.სან.კვანძი
16.ტრანსფორმატორის დასადგმელი მოედანი
17.ტრანსფორმატორი
18.მოსაცდელი მოედანი

შ.პ.ს. "აარ ქონსალტინგ" L.T.D. "AR consulting" (404580388)		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ	

##	დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა
	მეხამრიდი და დამიწება		
1	აქტიური მეხამრიდიb FOREND EU ESE Air Terminal ΔL= 60 m, ΔT= 60 μs	კომპლექტი	1,00
2	მეხამრიდის ანძაზე სამაგრი ადაპტერი	ც.	1,00
3	მეხამრიდის გალვანიზირებული საყრდენი ანძა h=9მ	ც.	1,00
4	მეხამრიდის ანძის საყრდენი ფუნდამენტის მოწყობა ანკერული სამაგრებით	ც.	1,00
5	გალვანიზირებული გლინულა Ø8 მმ	გრძ.მ	10,00
6	გალვანიზირებული ზოლოვანა 4x40 მმ	გრძ.მ	220,00
7	ზოლოვანას გალვანიზირებული ჯვარედინული მისაერთებელი	ც.	20,00
8	გლინულას კედლის სამაგრი (უჟანგავი)	ც.	12,00
9	დამიწების ღერო Ø20mm, l=2მ	ც.	24,00
10	ღეროს და ზოლოვანას შემაერთებელი დეტალი	ც.	24,00
11	დამიწების სალტე/საკლემო ბლოკი იზოლატორებით და სამაგრებით კომპლექტში	კომპლექტი	4,00
12	დამიწების სადენი H07V-R 1x10 მმ²	გრძ.მ	100,00
13	მეხის აღრიცხვის მრიცხველი (მექანიკური)	კომპლექტი	1,00
14	დამიწების მისაერთებელი კლემა დამიწების წინაღობის ტესტირების მოდულით	ც.	2,00
15	პლასმასის იზოლირებული საინსპექციო ჭა 300x300x300	ც.	1,00
16	დამიწების შემაერთებელი ტერმინალი	კომპლექტი	1,00
17	დამიწების კონტურის წინაღობის საკონტროლო გაზომვა	ც.	2,00

გრუნტის ხვედრითი საანგარიშო კოეფიციენტი:

$$\rho = \frac{(\rho_1 k_1 \rho_2 L)}{(\rho_1 k_1 (L - H + t_z) + \rho_2 (H - t_z))} \ \Omega^* მ$$

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
ρ_1	გრუნტის ზედა ფენის ხვედრითი წინაღობა		120
ρ_2	გრუნტის ქვედა ფენის ხვედრითი წინაღობა		120
k_1	კლიმატური კოეფიციენტი ვერტიკალური ელექტროდებისთვის		1,5
L	ვერტიკალური დამამიწებელის სიგრძე	მ	2
H	გრუნტის ზედა ფენის სისქე	მ	0,5
t_z	ჰორიზონტალური დამამიწებლის ჩაღრმავება	მ	0,7

ρ = 85,7 Ω*მ

ერთი ვერტიკალური დამამიწებელის წინაღობა:

$$r_v = \frac{0.366\rho}{L}\left(\lg\frac{2L}{D} + \frac{1}{2}\lg\frac{4t+L}{4t-L}\right)$$

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
D	ვერტიკალური დამამიწებლის დიამეტრი	მმ	20
t	მანძილი მიწის ზედაპირდან დამამიწებელის შუა წერტილამდე	მ	1,7

r_v = 38,2 Ω

ვერტიკალური დამამიწებლების სავარაუდო რაოდენობა:

$$n_s = \frac{r_v}{R_N \cdot \eta_в}$$

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
R_N	დენის მიწაში გადინების ნორმირებული წინაღობა	Ω	10
$\eta_в$	ვერტიკალური დამამიწებელის მოხმარების კოეფიციენტი		0,7

n_s = 5,45 ც ,დამრგვალება n_s = 6 ც პროექტით n_s = 10 ც

ვერტიკალური დამამიწებლების ჯამური წინაღობა:

$$Rv = \frac{r_v}{n_s \cdot \eta_в} \qquad Rv = 5,5 \ \Omega$$

ჰორიზონტალური დამამიწებლის მიახლოებითი სიგრძე

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
h	მანძილი დამამიწებლებს შორის	მ	3

l_h = 30,00 მ

ჰორიზონტალური დამამიწებლის წინაღობა მოხმარების კოეფიციენტის გათვალისწინებით:

$$R_h = \frac{0.366\ k_2 \rho_1}{l_h \eta_h} \cdot \lg\frac{l_h^2}{bt_z}$$

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
b	ზოლოვანი ფოლადის სიგანე	მმ	40
k_2	კლიმატური კოეფ. ჰორიზონტალური ელექტროდებისთვის		1,5
η_h	ჰორიზონტალური ელექტროდების გამოყენების კოეფიციენტი		0,4

R_h = 24,74 Ω

დამამიწებლების საერთო წინაღობა:

$$R = \frac{Rv * Rh}{Rv + Rh}$$

დამიწების კონტურის საერთო წინაღობა:

საბოლოო შედეგი **10** ვერტიკალური დამამიწებელი

Rv= 5,5 Ω Rh= 24,74

$$R = \frac{Rv * Rh}{Rv + Rh} \qquad \boldsymbol{R} = \mathbf{4,47\ \Omega}$$

შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ" L.T.D. "AR consulting" (404580388)		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022	6

გრუნტის ხვედრითი საანგარიშო კოეფიციენტი:

$$\rho = \frac{(\rho_1 k_1 \rho_2 L)}{(\rho_1 k_1 (L - H + t_z) + \rho_2 (H - t_z))} \ \Omega^* მ$$

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
ρ_1	გრუნტის ზედა ფენის ხვედრითი წინაღობა		120
ρ_2	გრუნტის ქვედა ფენის ხვედრითი წინაღობა		120
k_1	კლიმატური კოეფიციენტი ვერტიკალური ელექტროდებისთვის		1,5
L	ვერტიკალური დამამიწებელის სიგრძე	მ	2
H	გრუნტის ზედა ფენის სისქე	მ	0,5
t_z	ჰორიზონტალური დამამიწებლის ჩაღრმავება	მ	0,7

ρ = 85,7 Ω*მ

ერთი ვერტიკალური დამამიწებელის წინაღობა:

$$r_v = \frac{0.366\rho}{L}\left(\lg\frac{2L}{D} + \frac{1}{2}\lg\frac{4t+L}{4t-L}\right)$$

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
D	ვერტიკალური დამამიწებლის დიამეტრი	მმ	20
t	მანძილი მიწის ზედაპირდან დამამიწებელის შუა წერტილამდე	მ	1,7

r_v = 38,2 Ω

ვერტიკალური დამამიწებლების სავარაუდო რაოდენობა:

$$n_s = \frac{r_v}{R_N \cdot \eta_в}$$

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
R_N	დენის მიწაში გადინების ნორმირებული წინაღობა	Ω	4
$\eta_в$	ვერტიკალური დამამიწებელის მოხმარების კოეფიციენტი		0,7

n_s = 13,63 ც ,დამრგვალება n_s = 14 ც პროექტით n_s = 14 ც

ვერტიკალური დამამიწებლების ჯამური წინაღობა:

$$Rv = \frac{r_v}{n_s \cdot \eta_в} \qquad Rv = 3,9 \ \Omega$$

ჰორიზონტალური დამამიწებლის მიახლოებითი სიგრძე

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
h	მანძილი დამამიწებლებს შორის	მ	5

l_h = 70,00 მ

ჰორიზონტალური დამამიწებლის წინაღობა
მოხმარების კოეფიციენტის გათვალისწინებით:

$$R_h = \frac{0.366\ k_2 \rho_1}{l_h \eta_h} \cdot \lg\frac{l_h^2}{b t_z}$$

აღნიშვნა	დასახელება	განზ. ერთ.	მნიშვნელობა
b	ზოლოვანი ფოლადის სიგანე	მმ	40
k_2	კლიმატური კოეფ. ჰორიზონტალური ელექტროდებისთვის		1,5
η_h	ჰორიზონტალური ელექტროდების გამოყენების კოეფიციენტი		0,4

R_h = 12,34 Ω

დამამიწებლების საერთო წინაღობა:

$$R = \frac{Rv * Rh}{Rv + Rh}$$

დამიწების კონტურის საერთო წინაღობა:

საბოლოო შედეგი **14** ვერტიკალური დამამიწებელი

Rv= 3,9 Ω Rh= 12,34

$$R = \frac{Rv * Rh}{Rv + Rh} \qquad \boldsymbol{R} = \mathbf{2,96\ \Omega}$$

შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ"
L.T.D. "AR consulting"
(404580388)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ.	

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16)
ს/კ (01.11.19.001.026)

ავტოცისტერნის ჩამამიწებელი მოწყობილობა



შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ" L.T.D. "AR consulting" (404580388)		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ.	

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16)
ს/კ (01.11.19.001.026)



შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ" L.T.D. "AR consulting" (404580388)		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური	
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი	
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213	
თარიღი	11.06.2022 წ	

ქ.თბილისი, ქუჩა შეშელიძე, #1(ნაკვეთი #1/17);ქალაქი თბილისი,ქუჩა შეშელიძე,#1 (ნაკვეთი#1/16)
ს/კ (01.11.19.001.026)

ხელოვნური დამიწების კონტურის მოწყობის გეგმა











შ.პ.ს. "აერ ქონსალტინგ"	
L.T.D. "AR consulting"	
(404580388)	
თანამდებობა	გვარი, ხელმოწერა
შეასრულა	ნ. გიგაური
დირექტორი	გ. ჯანიაშვილი
დამკვეთი	შპს "ბანი 13" ს/კ 404980213
თარიღი	11.06.2022 წ.

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, შეშელიძის ქ. №1-ში შპს ბანი 13 (ს/კ 01.11.19.001.026) არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობისათვის და მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

ფიზიკური პირის *შპს „ბანი -13“-ის ხელმძღვანელობის* თხოვნით ჩვენს მიერ 2023 წლის 21 ივნისს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, შეშელიძის ქ. №1-ში შპს ბანი 13 (ს/კ 01.11.19.001.026) არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობისათვის და მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, შეშელიძის ქ. №1-ში შპს ბანი 13 (ს/კ 01.11.19.001.026) არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობისათვის და მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი.მ. „მირდატ კვარაცხელია“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2023 წლის ივნისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი მ. კვარაცხელია. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევები .მათ ლაბორატორიაში არის შესრულებული *საექსპერტოდ წარმოდგენილია:*

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 9 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
4. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 2 ფურც.
5. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 1 ფურც.
6. ფოტოილუსტრაცია---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე გათვალისწინებულია არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობა, მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებისათვის. რეზერვუარის სიმაღლე 4.5 მ-ია (15 ტონიანი 4 ცალი). რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე, ექსკავატორის მეშვეობით გაყვანილი იქნა 2 შურფი, სიღრმით 5-6 მ. შურფებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა მხოლოდ ერთი ფენა:

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ტექნოგენური გრუნტის საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

როგორც ავტორი აღნიშნავს ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური და გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ზვავი, სუფოზია, კარსტი და სხვა) განვითარება არ არის მოსალოდნელი, ამ თვალსაზრისით უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. მომავალი სამშენებლო ტერიტორია განლაგებულია არსებული გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და არ საჭიროებს დამატებითი დამცავი ღონისძიებების ჩატარებას.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, შეშელიძის ქ. №1-ში შპს ბანი 13 (ს/კ 01.11.19.001.026) არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობისათვის და მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

ქ. თბილისში, შეშელიძის ქ. №1-ში შპს ბანი 13, (ს/კ 01.11.19.001.026) არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობისათვის, მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებისათვის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

საინჟინრო გეოლოგია

ი/მ. მ. კვარაცხელია

ქ. თბილისი

2023 წ.

სარჩევი

ტექნიკური დავალება

თავი I მიწერილობა (პროგრამა)
თავი II შესავალი
თავი III უბნის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, საზღვრები, გეომორფოლოგია, ზოგადი გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია).
თავი IV სამშენებლო კლიმატოლოგია (პ/ნ 01.05.-08).
თავი V ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები
თავი VI დასკვნები და რეკომენდაციები

გრაფიკული დანართები

1. ფოტოილუსტრაცია 2 ფურცელი
უბნის ტოპოგრაფიული გეგმა სამთო გამონამუშევრებისა და საინჟინერო გეოლოგიური ჭრილების განლაგებით (მასშტაბი 1:500) 1 ფურცელი
2. სამთო გამონამუშევრების ჭრილები (კალონკები) 2 ფურცელი
3. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I' 1 ფურცელი
4. გენგეგმა 1 ფურცელი მ. 1:500
5. საპროექტო გენ-გეგმა მ. 1:150
6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 1 ფურცელი

ტექნიკური დავალება

1. დამკვეთი: შპს ბანი-13
2. ობიექტის დასახელება: არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობა, მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებისთვის.
3. ობიექტის მდებარეობა: ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. №1.
4. დაპროექტების სტადია მუშა პროექტი
5. შენობა პასუხისმგებლობის მიხედვით მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსება.
6. შენობა პასუხისმგებლობის მიხედვით IV კლასი
7. ობიექტის ტექნიკური დახასიათება
   - რეზერვუარის ზომები სიმაღლე, მოცულობა და რაოდენობა. 4.5 მეტრი, 15 ტონიანი 4 ცალი.
   - პირველი სართულის საპროექტო ნიშნული ±0.000 (დაზუსტება)
   - საძირკვლის სავარაუდო ტიპი – რკინა-ბეტონის მთლიანი ფილა.
   - საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ძირზე 2.0 კგ/სმ2

საინჟინერო გეოლოგიური გამოკვლევების ტექნიკური დოკუმენტაცია წარდგენილი იქნეს აკინძული 1 ეგზემპლარად და ელ. ვერსია.

პროექტის მთავარი
კონსტრუქტორი (არქიტექტორი)

„———“ ივნისი 2023 წ.

თავი I. მიწერილობა (პროგრამა)

ქ. თბილისში შეშელიძის ქ. №1-ში, შპს ბანი-13, (ს/კ 01.11.19.001.026) არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობისათვის მიწისძვეშა რეზერვუარის განთავსებისათვის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია ს.ნ. და წ. 1.02.07-87 პ. 1.19-ის მეორე შენიშვნისა და პ.1.22-ის თანახმად, გადმოცემული ტექნიკური დავალებისა და ნორმატიული დოკუმენტების (ს.ნ და წ. 1.02.07-87 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის, ს.ნ. და წ. 2.02.01-83 შენობა-ნაგებობათა ფუძეები) და სახსტანდარტი 25100-82 მოთხოვნათა საფუძველზე.

დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტექნიკურ დავალებაში (ერთვის დასკვნას).

უშუალოდ მომავალ სამშენებლო უბანზე ადრე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შესახებ ცნობილი არ არის.

უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესასწავლად და დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების პირობების დასადგენად დამკვეთის მიერ უბნის ტოპოგეგმაზე მონიშნულ წერტილებში გაყვანილი იქნეს 2 შურფი ს.ნ. და წ. 1.02.07-87 პ.3.64-ის მოთხოვნების შესაბამისად, სიღრმით 5-6 მ.

შურფი გაყვანილი იქნას ექსკავატორის მეშვეობით სინჯის ამოღებით.

შურფის გაყვანის პროცესში აღებულ იქნეს გრუნტების დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშები ლაბორატორიული გამოკვლევებისთვის.

აღებულ ნიმუშებზე ჩატარდეს გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევები, ს.ნ. და წ. 1.02.07087 სავალდებულო მე-8 დანართში რეგლამენტირებული რაოდენობით.

გრუნტის წყლის და ქანების რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მიმართ შესაძლო აგრესიული თვისებების შესწავლის მიზნით, შურფებიდან აღებულ იქნეს მათი სინჯები ქიმიური ანალიზის ჩასატარებლად.

წყლის სინჯების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ზემოაღნიშნული ს.ნ. და წ. 1.02.07-87 პ.2.56 პუნქტის მოთხოვნებს.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში (დასკვნა), სნ. და წ. 1.02.07-87-ის მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად და აიკინძოს 1 ეგზემპლარად. მომზადდეს ჩატარებული კვლევების ელექტრონული ვერსია.

შესავალი

თავი II. ქ. თბილისში, შეშელიძის ქ. №1-ში შპს ბანი-13 (ს/კ 01.11.19.001.026) არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობისათვის, მიწისძვეშა რეზერვუარის განთავსებისათვის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

შპს ბანი-13-ის დაკვეთით ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ძიება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისადმი დასმული საკითხების გადასაწყვეტად საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გაყვანილი იქნა 2 შურფი ექსკავატორის მეშვეობით 5.0-6.0 მეტრომდე, საერთო გრძივი მეტრო შეადგენს 11.0 მ. საველე და კამერალური სამუშაოები შეასრულა ინჟინერ-გეოლოგმა კვარაცხელია მ.შ. ივნისის თვეში.

თავი III. უბნის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, საზღვრები, გეომორფოლოგია, ზოგადი გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია)

მშენებლობისათვის განკუთვნილი უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, გლდანის რ-ნში. თბილისის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება მავთულბადით, ბლოკით და ბეტონით შემოსაზღვრული ტერიტორიები. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება შეშელიძის ქუჩა და სამხრეთიდან ესაზღვრება ბლოკით შემოღობილი ტერიტორიები.

<u>გეომორფოლოგიური თვალსაზრისით</u> გაზგასამართი სადგური განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე. აღნიშნული ობიექტი ნაწილია ამ ქედის დაბოლოების სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობისა, რომელიც დახრილია 2-3^0-ით დასავლეთისკენ მდ. მტკვრისკენ და წარმოადგენს მდგრად, სტაბილურ საპროექტო ზედაპირს. მათი აბსოლუტური

ნიშნულებია 421.13-421.86 ფარგლებში. საპროექტო სამშენებლო მოედნის ფარგლებში თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა, მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ დაფიქსირდა. ტერიტორია დღეისთვის გამოირჩევა მდგრადობის კარგი ხარისხით.

<u>გეოლოგიური თვალსაზრისით</u> უბანი მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაძირვის ზონაში და ხასიათდება პალეოგენური-ფლიშერული-დანალექი ქანებით და ვულკანოგენური ნალექების განვითარებით.

საპროექტო არეალის ფარგლებში 5.0-6.0მ. ფარგლებში სიღრმის გამონამუშევრების თანახმად ლითოლოგიური ჭრილი წარმოდგენილია თანამედროვე მეოთხეული ტექნოგენური გრუნტით (tQ_4). (მოსამსახურეების და მუშების გამოკითხვის შედეგად 15-18 წლის უკან ეს ადგილი იყო მტკვრის ხეობა და ამოვსებული იქნა ტექნოგენური გრუნტით, რომლის სიმძლავრე 10-12 მეტრია).

<u>ჰიდროგეოლოგიური პირობები:</u>

შესწავლილ უბანზე და მის გარშემო გრუნტის წყლების ბუნებრივი გამოსავალები ზედაპირზე არ დაფიქსირებულა. ისინი არ გახსნილა არც გაყვანილი სამთო გამონამუშევრებით 5.0-6.0 მეტრ სიღრმემდე. ფონდური მონაცემებით მიწისქვეშა ნაპრალოვანი წყლები აქ მხოლოდ 10-15 მეტრი სიღრმეებიდანაა მოსალოდნელი. ამრიგად მიწისქვეშა წყლები არსებული გაზგასამართ სადგურზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობისთვის რაიმე სახით ხელშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენს.

თავი IV. სამშენებლო კლიმატური მახასიათებლები (პნ 01.05-08) (თბილისი, საბურთალო)

გამოკვლეული უბანი შედის ქვემო ქართლის ბარის მშრალი კონტინენტური სტეპური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით (სამშენებლო კლიმატური III "გ" ქვერაიონში) იანვრის საშუალო ტემპერატურა 0°-დან +2°მდე, ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე 5 და მეტი მ/წ. 20 წ. ერთხელ ქარის საშუალო სიჩქარე 37 მ/წამში. ივლისის საშუალო ტემპერატურა +25°-დან +28°-მდე, ფარდობითი ტენიანობა 67°-ზე მეტი, 13ს. თოვლის საფარის წონა 0.50 კპა, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი 15. თოვლის საფარის წყალშემცველობა – ნალექების რაოდენობა წელიწადში 550 მმ, ნალექების დღეღამური მაქსიმუმი 147 მმ.

გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე თიხნარსა და ქვიშნარში 0 სანტიმეტრი.

თავი V. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ჩატარებული საველე კვლევების საფუძველზე შედგენილია სამთო-გამონამუშევრებისა და სამშენებლო მოედნის გეოლოგიური ჭრილი.

შურფი №1. წარდგენილია 0.0-6.0მ (აბსოლიტ. ნიშნ. 421.80-415.80) ტექნოგენური გრუნტით სამშენებლო მასალების მინარევებით ბეტონის და აგურის ნატეხები, თუნუქის ფურცლები, პლასმასის მილები სხვადასხვა ზომის, რიყის ქვები და სხვა. 20-30 % მ-დე შემავსებელი ქვიშნარი და თიხნარი უწყლო შეუმკრივებლად.

შურფი №2 წარდგენილია 0.0-5.0მ. (აბს. ნიშნ. 421.70-416.70) ტექნოგენური გრუნტით, სამშენებლო მასალების მინარევებით ბეტონის და აგურის ნატეხები, თუნუქის ფურცლები, რკინის და პლასმასის ტრუბები, კენჭნარი და კაჭარი. შემავსებელი ქვიშნარი და თიხნარი უწყლო, შეუმკრივებლად..

თავი VI. დასკვნები და რეკომენდაციები

VI.1 გეოლოგიურად მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, გლდანის რ-ნში, შეშელიძის ქ. №1-ში, რომელიც ხასიათდება დახრილი რელიეფით სამხრეთ-დასავლეთისკენ მდ. მტკვრისკენ.

VI.2 ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ უბანზე საშიში გეოლოგიური გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღენიშნება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, მომავალი სამშენებლო ტერიტორია განლაგებულია არსებულ გაზგასამართ სადგურის ტერიტორიაზე და არ საჭიროებს დამატებით დამცავი ღონისძიებების ჩატარებას.

ხოლო თავისი გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს.ნ. და წ. 1,02,07-87-ის დანართი 10-ის თანახმად განეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას.

VI.3 ფუნდამენტის მოწყობისას სასურველია გავითვალისწინოთ მდინარის ბალასტისაგან ან დაქუცმაცებული ხრეშისაგან ბალიშის მოწყობა 0.3-0.5 მ-ის დატკეპვნით.

VI.4 ბურღვის პროცესში წყალი არ იყო, მაგრამ ინტენსიურმა წვიმებმა გაზაფხულზე და შემოდგომაზე შეიძლება გამოიწვიოს ქვაბულის დატბორვა.

VI.5 უბანზე საინჟინრო პირობებიდან გამომდინარე სამშენებლო თვისებების მიხედვით შეიძლება გამოიყოს. **ფენა 1** (სგე 1) - ნაყარი გრუნტი, რომელზედაც შენობის დაფუძნება შესაძლებელია რკინა ბეტონის ფილის ფუნდამენტის გამოყენების შემთხვევაში.

ს.ნ. და წესების (პნ 02.01.08) თანახმად პირობითი საანგარიშო წინაღობა შეადგენს და საძირკველის ანგარიშისათვის მიღებული იქნეს შემდეგი მახასიათებლები

<u>ფენა 1. სგე 1. ტექნოგენური გრუნტი სამშენებლო ნარჩენებით (ნაკლებ ტენიანი) შეუმკრივებლად R_0=1,5 კგძ/სმ^2 ან 150 კპა.</u>

VI.6 იმასთან დაკავშირებით რომ ვერ მოხერხდა სრულყოფილი სინჯების აღება ნაყარი გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის, მთავარი აქცენტი გადატანილი იქნა მათ საველე შესწავლაზე, კერძოდ ვიზუალურად შემოწმდა ტენიანობის ხარისხი განსხვავებული ლითოლოგიური სახესხვაობების ხელში აღებით ან ცალკეული მათგანის (თიხოვნების) გასრესით დამუშავებისას, სადაც შესამჩნევი იყო ნაკლებ ტენიანობის აშკარა ნიმუშები, ამიტომაც პნ02.01.08-ის დანართი 3-ის ცხრილი 5-ის დახმარებით განსაზღვრული იქნა არსებული ნაყარის R_0 პირობითი წინაღობა (R_0=150 კპა ან 1.5 კგძ 1/სმ^2) შესაბამისად საველე პირობებში დადგენილი-შეუმკვრივებელი ხასიათისაა და ნაკლებ ტენიანობის.

VI.7 საძირკველისათვის ამოღებული თხრილის დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებულ იქნას ს.ნ. და წ. 3.2.01.-87 პპ 3.11; 3.12; 3.15 თანახმად ს.ნ. და წ. III 4-80 მოთხოვნათა გათვალისწინებით.

VI.8 საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით სამშენებლო უბანი მიეკუთვნება **<u>9 ბალიან ზონას.</u>** (როგორც ძალიან სუსტი გრუნტი ნაყარი)

<u>სეისმურობად მიღებული იქნეს 9 ბალი.</u> (სეისმურობა ზუსტდება სპეციალური კვლევის შედეგად)

VI.10 დამუშავების სიძნელის მიხედვით საკვლევ უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან ს.ნ. და წ. IV-2-82 1-1 ცხრილის მიხედვით.

1. 10 ტექნოგენური გრუნტი წარმოების ნარჩენებით ყველა სახის დამუშავებისას მიეკუთვნება II კატეგორიას, საშუალო სიმკრივით 1800 კგმ^3 (რიგითი №24).

VI.11 წინამდებარე დასკვნა შედგენილია საველე სამუშაოების და ლიტერატურული წყაროების გადამუშავების შედეგად, საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების (სავალდებულო) შესაბამისად ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო-გამოკვლევები მშენებლობისთვის) ს.ნ. და წ. პ602.01-08 (შენობა ნაგებობათა ფუძეები) სნ. და წ. 01.02.07-87 (სეისმომედეგი მშენებლობა) და პ601.05-08(სამშენებლო კლიმატოლოგია და ფონდური მასალების გამოყენებით).

ინჟინერ-გეოლოგი /მ. კვარაცხელია/

ფურც. 1



სურ №1 მომავალი სამშენებლო მოედანი



სურ №2 შურფის გაყვანის პროცესი

ფურც.2



სურ №3 ამოღებული ტექნოგენური გრუნტის ფრაგმენტები



სურ №4 შურფიდან ამოღებული გრუნტის ლიკვიდაცია

საქართველოს
ქ. თბილისის მერია
სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური

ქ. თბილისი, შეშელიძის ქუჩა №1, 1189 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის
გ ე გ მ ა
საშუალო:

სამსახურის უფროსი

სიტუაციური სქემა
მ. 1:2000



ქალაქმშენებლობითი განყოფილება		
განყოფილების უფროსი:		
მთავარი სპეციალისტი:		
საინვესტიციო განყოფილება		
განყოფილების უფროსი:		
მთავარი სპეციალისტი:		
მიწის ნაკვეთის ფუნქცია და ქალაქმშენებლობითი პირობების პარამეტრები		



გეოლოგიური პირობითი აღნიშვნები:

ჭაბურღ. №1 421.70 ჭაჭვ. ჭიაყვ. ჭახის აბსოლუტ. ნიშნული
6.0 ნიშვნ. გრუნტის წყლის დონე.

ჭახვნ. ჭიაყვ. ჭახის ნოგეხი
ნიშვნ. ჭახის სიღრმე.

I——I' საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი.

პირობითი აღნიშვნები

ძ.ა. შენობა	ნაკვეთის საზღვარი	საზეთქაღნობელი ბა	დრენაჟი
ბაზასათვის საწვეთი	ბორდიური	ბარე ბაბანება	საბზაო წიშანი
მოსაცდელი	ბაზის ხიდი	ოჭანი	
ბეტონი	კედელი		426.08 შენობის სიმაღლე
მსუბუქი	ბეტონის ღობე	UTM - საკოორდინატო სისტემა	
სატრანსფორმ. ჯიხური	ლითონის ღობე		

შპს „ტერაბრაფიკი"	
დირექტორი	ზ. ჭაბაკაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	Tora Grafiki შ. ბალაკაძე
აზომვა შესრულა	ზ. ჭაბაკაძე
დამკვეთი	
მასშტაბი 1:500	8.01.2018

	შურფი N1	აბსოლუტური ნიშნული 421.80 მ
ობიექტი: ქ. თბილისში, შეშელიძის ქ. N1-ში, შპს ზანი-13-ის (ს/ს 01.11.19.001.026.) გაზ-გასამართი, სადგურის, ბენზინის სადგურის მიწისქვეშა რეზერვუარის, განთავსების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.	შურფის დაწყება 16.VI.23წ. შურფის დამთავრება 16.VI.23წ. შურფის გაყვანა ექსკავატორის მეშვეობით.	▽ წყლის გამოვლენა ---- მ ▼ წყლის დამყარება ---- მ ⊖ წყლის სინჯი ▭ მონოლითი ◇ დაშლილი სტრუქტურა

ფენის №	გეოლოგიური ინდექსი	ფენის საგების სიღრმე მ	აბსოლუტური ნიშნული მ	ფენის სიმძლავრე მ	ლითოლოგიური ჭრილი	სიღრმის სკალა, მ	გრუნტის აღწერა	ნიმუშის აღების სიღრმე, მ
1	tQ4	6.0	415.80	6.0			ტექნოგენური გრუნტი, თიხნარი, სამშენებლო მასალა, რიყის ქვები, აგურის ნატეხები, თუნუქის ფურცლები, და სხვა სამშენებლო მასალა. უწყლო. შეუმჭიდროვებელი.	

	შურფი N2	აბსოლუტური ნიშნული 421.70 მ
ობიექტი: ქ. თბილისში, მეჭელიძის ქ. N1-ში, შპს ბანი-13-ის (ს/კ 01.11.19.001.026.) გაზ-გასამართი, სადგურზე, ბენზინის სადგურის, მიწის-ქვეშა, რეზერვუარის, განთავსების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.	შურფის დაწყება: 16.VI.23წ. შურფის დამთავრება: 16.VI.23წ. შურფის გაყვანა ექსკავატორის დახმარებით.	▽ წყლის გამოვლენა ---- მ ▼ წყლის დამყარება ---- მ ⊖ წყლის სინჯი ▭ მონოლითი ◇ დაშლილი სტრუქტურა

ფენის №	გეოლოგიური ინდექსი	ფენის საგების სიღრმე მ	აბსოლუტური ნიშნული მ	ფენის სიმძლავრე მ	ლითოლოგიური ჭრილი	სიღრმის სკალა, მ	გრუნტის აღწერა	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ
1	tQ_4	5.0	416.70	5.0			ტექნოგენური გრუნტი, სამშენებლო მასალების, ჩანართებით, აგურის ნატეხებით, თუნუქის ფურცლები რიყის ქვები და სხვა. ყრილი. შემავსებელი თიხნარი დაქვიშნარი. შეუმჭიდროვებელი.	

საინჟინრო გეოლოგიური ჭრილი I-I'



შ-ჭაბ №	შ-1	შ-2
აბსოლუტ. ნიშნ.მ	421.80	421.70
შ-ჭაბ. სიღრმე	6.0	5.0
მანძილი შ-ჭაბ. შორის	მ/გ.	

პირობითი აღნიშვნები

ტექნოგენური გრუნტი–სამშენებლო მასალების ნარჩენები, აგურის ნატეხები, თუნუქის ფურცლები, რკინის ჯვები და სხვა ნარჩენები.. ყრილი. შემავსებელი თიხნარი და ქვიშნარი. შეუმჭიდროვებელი.

საინჟინრო გეოლოგია	
ქ. თბილისში, მუშკელიძის ქ. N1-ში, (ნაკვ. ს/ს 01.11.19.001.026.) გაზგასამართი, სადგურზე ბენზინის სადგურის მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსება. საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა	ვერტ. 1:100 მ-ბი ჰორ. მ/მ.
საინჟინრო გეოლოგიური ჭრილი	ფურც 1
ინჟინერ–გეოლოგი	მ. კვარაცხელია
შემსრულებელი	მ. კვარაცხელია

გენგეგმა მ. 1:500



ექსპლიკაცია:
1. ფარდული
2. საოფისე
3. საკომპრესორო
4. ღია ავტოსადგომი
5. ფასთა მაჩვენებელი
6. სან. კვანძი
7. ტრანსფორმატორის დასადგმელი მოედანი
8. მოსაცდელი მოედანი
9. განათების ბოძები

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

1. ტერიტორიის ფართი	1189 კვ.მ.
2. ტერიტორიის განაშენიანების ფართი	433.1 კვ.მ.
3. გამწვანების ფართი	92 კვ.მ.
4. გამწვანების კ3 კოეფიციენტი	0.1
5. განაშენიანების კ1 კოეფიციენტი	0.4

კორექტირებული

prima & KO	ქ. თბილისი, შუშელიძის ქ. №1 გაზგასამართი სადგური	დაკვეთა	სტადია	ფურც.№	ფურც. რაოდ.	ინვენტ.№
		48/13	პროექტი	ა-1	9	
	arqiteqturuli nawili	დირექტორი.		ლ. კუპრაშვილი		
		პრ. მთ. არქ.		ა. გეწაძე		
	გენგეგმა მ. 1:500	შეასრულა		ჯ. კვინტაძიანი		



პროექტის ნომერი	11.2022
თარიღი	11.2022
მთ. არქიტექტორი	დავით ვამაკიძე
არქიტექტორი	დავით ვამაკიძე

პროექტის დასახელება:

ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის პროექტი

მისამართი:

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 1 , (ნაკვეთი N1/17) / ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 1 , (ნაკვეთი N1/16) ს.კ. 01.11.19.001.026

საპროექტო გენ-გეგმა

ტექნიკურ ეკონომიკური
საერთო ფართობი
საცხოვრებელი ფართობი
კომერციული ფართობი
საოფისე ფართობი
საზაფხულო ფართობი
ლიფტის/კიბის უჯრ. ფართობი
პარკინგის ფართობი
დამხმარე სათავსო

A100

მასშტაბი 1 : 150

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.11.19.001.026**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013649190 - 31/12/2013 12:39:35

მომზადების თარიღი
09/01/2014 18:45:59

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	**11**	**19**	**001/026**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 1 , (ნაკვეთი N1/17) / ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 1 , (ნაკვეთი N1/16)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1189.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.11.19.001.017; 01.11.19.001.023;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3
საერთო ფართი: 415.05 კვ.მ.
მათ შორის:
საოფისე ფართი - 119.30 კვ.მ.
საწარმოო ფართი - 284.90 კვ.მ.
დამხმარე ფართი - 10.85 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013470695 , თარიღი 27/09/2013 18:16:21
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/10/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:11/01/2013 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:23/01/2013 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N3-12/13267330-16 , დამოწმების თარიღი:25/09/2013 , ქ.თბილისის მერიის ბედამხედველობის საქალაქო სამსახური

მესაკუთრეები:
შპს "ეკოგაზი" , ID ნომერი:205151280

მესაკუთრე:
შპს "ეკოგაზი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

21 დეკემბერი 2023

N 21/11243

შპს „ბანი 13“-ის დირექტორს
ბატონ დავით ჩახტაურს
ქ. თბილისი, საბურთალოს ქუჩა, №67ა, ბინა19
ელ. ფოსტა: dchakhtauri@yahoo.com; giulidartsimelia@gmail.com

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2023 წლის 29 ნოემბრის განცხადების (სააგენტოს რეგისტრაციის №11622, 29.11.2023) საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შეთანხმებული იქნა **შპს „ბანი 13“-ის** ავტოგასამართი სადგურისთვის (ქ. თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა, № 1ა, ს/კ 01.11.19.001.026) შემუშავებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

პატივისცემით,

მაია ბერაძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბანი 13“

ავტოგასამართი სადგური

(თხევადი საწვავით და ბუნებრივი აირით)

(ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, შეშელიძის ქუჩა N1, ს/კ 01.11.19.001.026)

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ზ ა ც ი ი ს ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ ი

შემსრულებელი:

შპს „ბანი 13“

თბილისი 2023

ა ნ ო ტ ა ც ი ა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბანი 13“-ის ავტოგასამართი სადგურის (თხევადი საწვავით და ბუნებრივი აირით) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში მოიცავს მოქმედი წესებით გათვალისწინებულ ინფორმაციას ამ საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბანი 13“-ის ავტოგასამართი სადგურის (თხევადი საწვავით, გათხევადებული აირითა და ბუნებრივი აირით) ფუნქციონირებას თან ახლავს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 8 წყაროს მიერ ატმოსფერული ჰაერის ისეთ დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევებით დაბინძურება, როგორიცაა: **ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, მეთანი, ეთილმერკაპტანი.**

დადგენილია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის ყველა წყარო, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

“ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ” და “გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის” საქართველოს კანონების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ საწარმოსთვის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღება არაა სავალდებულო.

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება #42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტი”-ს საფუძველზე

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის მიზანს წარმოადგენს მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა შემადგენლობის და რაოდენობრივი მაჩვენებლების და, აგრეთვე, გაფრქვევის სხვა პარამეტრების დადგენა.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ობიექტებისთვის მუშავდება უვადო ვადით, „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სარჩევი

გვერდი

ანოტაცია	1
ძირითადი ცნებები და განმარტებები	3
1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ	5
2. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით	6
2.1. ტექნოლოგიური სქემა	6
2.2. მოთხოვნები ბუნებრივ და ენერგეტიკულ რესურსებზე, ნედლეულზე და დამხმარე მასალებზე	8
3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები	9
4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში	10
5. მიღებული შედეგების ანალიზი.	13
6. საწარმოს გენ-გეგმა გაფრქვევის წყაროთა ჩვენებით	14
7. გამოყენებული ლიტერატურა	15
8. დ ა ნ ა რ თ ი	16
- ცხრილები	17
ფორმა #1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება	17
ფორმა #2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება	18
ფორმა #3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები	19
ფორმა #4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზირება, ტ/წელი	20
დანართი 1. მიწის ნაკვეთი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	21

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

ა) "ატმოსფერული ჰაერი" _ ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) “მავნე ნივთიერება" _ ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

გ) "ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება" _ ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების გაფრქვევა, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

